ევროპის შრომის დაცვის ორგანო

მივლინებული მძღოლები - იცოდეთ თქვენი უფლებები და მოვალეობები

„მძღოლის მივლინების“ ახალი წესები მოქმედებს 2022 წლის 2 თებერვლიდან

ELA
EUROPEAN LABOUR AUTHORITY

თქვენ სარგებლობთ მივლინებული მძღოლის სტატუსით



თუ სატრანსპორტო ოპერაციებს შეზღუდული პერიოდის განმავლობაში ახორციელებთ ევროკავშირის არა იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც დაფუძნებულია თქვენი დამსაქმებელი და სადაც შემდეგ ოპერაციებს ასრულებთ, მაშინ მივლინებულ მძღოლად ჩაითვლებით.

- **კაბოტაჟი.** დამსაქმებელი, რომელთანაც მუშაობთ, არ არის დაფუძნებული იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც შიდა სატრანსპორტო ოპერაციებს ახორციელებთ.
- **ჯვარედინი ვაჭრობა.** სატრანსპორტო ოპერაციები ორ წევრ სახელმწიფოს შორის, ან წევრ სახელმწიფოსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის, როდესაც თქვენი დამსაქმებელი არ არის დაფუძნებული არცერთ აღნიშნულ ქვეყანაში.
- **დაუტვირთავი მგზავრობა.** მგზავრობა, რომელიც ხორციელდება კაბოტაჟთან ან ჯვარედინ ვაჭრობასთან კავშირში, რომელიც ექვემდებარება მძღოლის მივლინების წესებს.
- **კომბინირებული სატრანსპორტო ოპერაციები.** თუ კომბინირებული სატრანსპორტო ოპერაციის პირველი ან ბოლო ნაწილი წარმოადგენს ჯვარედინ ვაჭრობას ან კაბოტაჟს, მაშინ მივლინებულ მძღოლად ჩაითვლებით მხოლოდ ამ პირველი ან ბოლო ნაწილის შესრულებისას.

გზისპირა შემოწმების შემთხვევაში, შესაძლებლობა უნდა გქონდეთ, რომ ინსპექტორს აჩვენოთ:

- სამივლინებო დეკლარაციის ასლი (ელექტრონული ან მატერიალური ვერსია);
- იმ სატრანსპორტო ოპერაცი(ებ)ის მტკიცებულება, რომელიც ხორციელდება მასპინძელ წევრ სახელმწიფოში (მაგ., ზედნადები); და
- ტაქოგრაფის ჩანაწერები.

თქვენმა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ თქვენ ფლობდეთ განახლებულ დოკუმენტაციას.

რა ანაზღაურება გეკუთვნით და რომელი სხვა სამუშაო პირობებით შეგიძლიათ ისარგებლოთ?

თუკი საშუალო ანაზღაურება და სამუშაო პირობები უკეთესია იმ ქვეყანაში, სადაც მივლინებული ხართ, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი დამსაქმებელია დაფუძნებული, მაშინ უფლება

გაქვთ მიიღოთ უფრო მაღალი ანაზღაურება
და ისარგებლოთ უკეთესი სამუშაო პირობებით.
თუ აღნიშნული პირობები უკეთესი არ არის, მაშინ
მოქმედებს დამფუძნებელი ქვეყნის წესები.

თქვენ არ სარგებლობთ მივლინებული მძღოლის სტატუსით

თუ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სატრანსპორტო ოპერაციას ასრულებთ, მაშინ მივლინებულ მძღოლად არ იქნებით მიჩნეული.

- **ორმხრივი ოპერაცია.** იმ წევრი სახელმწიფოდან, სადაც თქვენი დამსაქმებელია დაფუძნებული, სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება (ევროკავშირის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ), ან ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან (ევროკავშირის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ) ისეთ წევრ სახელმწიფოში დაბრუნება, სადაც თქვენი დამსაქმებელია დაფუძნებული.
- **დატვირთვის ან/და გადმოტვირთვის მცირე დამატებითი სამუშაოები.** იმ წევრ სახელმწიფოებში ან ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებში, რომელთა სახელმწიფო საზღვარიც გადაიკვეთა, ორმხრივი ოპერაციის განხორციელებისას.
- **ტრანზიტი.** წევრი სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთა ყოველგვარი დატვირთვისა და გადმოტვირთვის გარეშე.
- **დაუტვირთავი მგზავრობა.** თუ მგზავრობა ხორციელდება ორმხრივ ოპერაციასთან დაკავშირებით
- **კომბინირებული სატრანსპორტო ოპერაციები.** თუ კომბინირებული სატრანსპორტო ოპერაციის პირველი ან ბოლო ნაწილი ორმხრივი ოპერაციაა, მაშინ არ ჩაითვლებით მივლინებულ მძღოლად მხოლოდ ამ პირველი ან ბოლო ნაწილის შესრულებისას.

რა ანაზღაურება გეკუთვნით და რომელი სხვა სამუშაო პირობებით შეგიძლიათ ისარგებლოთ?

როდესაც არ ითვლებით მივლინებულ მძღოლად, ანაზღაურების ოდენობა და სამუშაო პირობები განისაზღვრება იმ წევრი სახელმწიფოს მიხედვით, სადაც თქვენი დამსაქმებელი არის დაფუძნებული.



EUROPEAN LABOUR AUTHORITY

ევროპის შრომის დაცვის ორგანო

Landererova 12, 811 09
Bratislava - სლოვაკეთი
info@ela.europa.eu

www.ela.europa.eu

შეიტყვეთ მეტი
“Your Europe Portal”

© ევროპის შრომის დაცვის ორგანო, 2022 წ

არც ევროპის შრომის დაცვის ორგანო (ELA) და არც მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი არ არის პასუხისმგებელი ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

რეპროდუცირება ნებადართულია წყაროს აღიარების საფუძველზე. ფოტოების ან სხვა მასალის ნებისმიერი გამოყენების ან რეპროდუცირებისთვის ნებართვა, რომელზეც არ ვრცელდება ELA-ს საავტორო უფლებები, უნდა მოითხოვოთ უშუალოდ საავტორო უფლებების მფლობელებისგან.

სურათების საავტორო უფლება: © iStock.com/Hilch

ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, 2022 წ

Print ISBN 978-92-9464-814-3 doi:10.2883/885910 HP-01-22-237-KA-C
PDF ISBN 978-92-9464-810-5 doi:10.2883/6728 HP-01-22-237-KA-N